საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალმცოდნეობა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს ECTS: 1. სავალდებულო კომპონენტები - 150 კრედიტი ECTS; 2. ინგლისური ენა - 15 ECTS; 3. არჩევითი ან/და თავისუფალი სასწავლო კურსები - 15 კრედიტი ECTS;
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**სტუდენტს შესძინოს:** A. ცოდნა ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების, ქართული აკადემიური, სამართლებრივი წერისა და მეტყველების კულტურის, აზროვნების განვითარებისა და იურიდიული პროფესიების თავისებურებების შესახებ; B. ფართო თეორიული ცოდნა საზოგადოებრივი პროცესების სამართლებრივი მოწესრიგების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების ადგილისა და როლის, ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, სამართლის არსის, პრინციპების, მექანიზმების, ინსტიტუტების შესახებ და ასევე სამართლის ძირითადი დარგების სისტემური და ინტეგრირებული ცოდნა; C. სიღრმისეული ცოდნა სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების, საერთაშორისო სამართლის, კერძო სამართლის, სისხლის სამართლისა და საჯარო სამართლის ძირითადი მიმართულებებით; **სტუდენტს გამოუმუშავოს, ჩამოუყალიბოს და განუვითაროს:** D. დოქტრინალური, ნორმატიული და პრეცედენტული წყაროების იდენტიფიკაციის, მოძიების, მოკვლევის, აღრიცხვის, გამოყენების და შენახვის უნარი; E. სამართლებრივი აზროვნების და მისი პრაქტიკაში გამოყენებისათვის აუცილებელი უნარები; F. იურიდიული დოკუმენტის შემუშავება/შედგენის და სამართლის ნორმის განმარტების მეთოდის შერჩევა-მისადაგება/გამოყენების უნარი; G. მატერიალური და პროცესუალური ნორმების დაცვით სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, ანალიზის, აღწერის, გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო სტრატეგიის ხედვის, მოქმედებისა და დასაბუთების უნარები; H. ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია როგორც პროფესიულ ისე არაპროფესიულ აუდიტორიასთან; I. პროფესიულ საქმიანობაში მუდმივ თვითგანვითარებაზე დაფუძნებული, სამართლიანობის, დემოკრატიული ფასეულობების, სამართლებრივი ღირებულებების ამოცნობის, პატივისცემისა და პროფესიული ეთიკის წესების დაცვით მოქმედების უნარი.

სწავლის შედეგები	**წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი/მა:** **A - ცოდნა და გაცნობიერება** **1.** აღწერს - სამართლის არსს, სისტემას, მის ძირითად პრინციპებს, წყაროებსა და დარგებს, მათ შორის საჯარო, კერძო, სისხლისა და საერთაშორისო სამართლის ძირითად თეორიებს, პრინციპებსა და რეგულირები თავისებურებებს, აგრეთვე მათი განვითარების ზოგად ტენდენციებს; 2. ჩამოთვლის და განსაზღვრავს - ეროვნული სამართლის სისტემის ძირითად თავისებურებებს, პრინციპებს, ინსტიტუტებს, დარგობრივ სასწავლო დისციპლინებში ძირითად თეორიებს, წესებს, პრინციპებს და თავისებურებებს, ცალკეულ იურიდიულ პროფესიებში გამოყენებად პროფესიული ქცევის წესებს; 3. განმარტავს სამართლის მნიშვნელობას საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფუნქციონირებაში; 4. ჩამოთვლის და აღწერს/განმარტავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, მათი დაცვის ან შეზღუდვის მექანიზმებს/ინსტრუმენტებს, მნიშვნელობას, კონცეპტუალურ და ღირებულებით საკითხებსა და თავისებურებებს; **B - უნარები** 5. ამზადებს - სამართლებრივ დოკუმენტებს, როგორც ინდივიადუალურად ისე გუნდურად (მათ შორის კითხვა, გაგება/გააზრება, ანალიზი, შეთავსება/მისადაგება, გამოყენება, იერარქიის განსაზღვრა, კოლიზიის გადაწყვეტა და სხვა), აგრეთვე კვლევით ან პრაქტიკული ხასიათის ნაშრომებს, აკადემიური სტანდარტების დაცვით; 6. ახდენს - სამართლებრივი პრობლემების, სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზების, დავის არსის, არასტრუქტურირებული, რთული ან უცნობი სიტუაციების, გამოწვევების, თავისებურებების იდენტიფიკაციას და ძირითადი მახასიათებლებისა და სტანდარტული ან/და ზოგიერთი უახლესი მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს; აანალიზებს მხარეების მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს, გამოსაყენებელ სამართლებრივ ნორმებს და აყალიბებს დასაბუთებულ სამართლებრივ პოზიციებს/დასკვნებს; 7. მოიძიებს, ამუშავებს და აფასებს სამართლებრივ ინფორმაციას, წყაროწებს, მათ შორის კანონმდებლობას, სასამართლო პრაქტიკას და დოქტრინას, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; 8. აყალიბებს და წარადგენს სამართლებრივ პოზიციას ზეპირი და წერილობითი ფორმით, შესაბამისი იურიდიული ტერმინოლოგიისა და არგუმენტაციის გამოყენებით. C - **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** 9. ცნობს და მოქმედებს - სამუშაო ან სასწავლო გარემოში ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპებს; პროფესიულ საქმიანობას წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებული შეგნებით, კეთილსინდისიერებით, იურისტის ეთიკური სტანდარტების დაცვით. იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ საქმიანობაზე და, საჭიროების შემთხვევაში, ხელს უწყობს კოლეგების პროფესიულ განვითარებას; 10. ავლენს საკუთარი ცოდნის „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ მუდმივი განახლების საჭიროებების და აუცილებლობის უნარს, დამოუკიდებელი სწავლისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების უნარს და ადაპტირდება სამართლებრივი გარემოს

შეფასების წესი	სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი
საკონტაქტო პირი/ები	პროგრამის ხელმძღვანელები: **ლევან ჯაყელი, პროფესორი** ტელ: 577 78 66 22 e-mail: l.jakeli@bsu.edu.ge **ომარ ფარტენაძე, ასოცირებული პროფესორი** ტელ: 599 58 03 22 e-mail: omar.fartenadze@bsu.edu.ge